პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 16 მარტი, 1945 წ. № 53 (7268). ფასი 20 კაპ.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებმაც დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა კარპატების ზოლის მთიან-ტყიან ადგილას, 14 მარტს, დაიკავეს ქალაქი და დიდმნიშვნელოვანი რკინიგზის კვანძი ზვოლენი—გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი მდინარე გრონზე.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან გმირ წითელ არმიას!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

უმაღლესი მთავარსარდლისა

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ მალინოვსკის ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ ზახაროვს

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებმაც დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა კარპატების ზოლის მთიან-ტყიან ადგილას, დღეს, 14 მარტს, დაიკავეს ქალაქი და დიდმნიშვნელოვანი რკინიგზის კვანძი ზვოლენი — გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი მდინარე გრონზე.

ქალაქ ზვოლენის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ შმაჩენკოს, გენერალ-ლეიტენანტ შარაპოვის, გენერალ-მაიორ რუმიანცევის, გენერალ-მაიორ მერკულოვის, გენერალ-მაიორ უმანსკის, გენერალ-მაიორ ობუშენკოს, პოლკოვნიკ ცალაის, პოლკოვნიკ ბოჩკოვის, პოლკოვნიკ საუინის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ კორეცკის, არტილერიის გენერალ-მაიორ პოპოვიჩის, პოლკოვნიკ ნიკიტინის, პოდპოლკოვნიკ რეიტბურგის, პოდპოლკოვნიკ პოლიაკოვსკის, პოდპოლკოვნიკ სმირნოვის, პოდპოლკოვნიკ გუბენკოს, პოდპოლკოვნიკ იარგინის, პოდპოლკოვნიკ ვასილევსკის, მაიორ შჩერბინის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ბარაუსოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-მაიორ კამანინის, პოლკოვნიკ საპრიკინის, პოლკოვნიკ სემიონოვის, პოლკოვნიკ სემენკოს მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ პეტროვის, პოლკოვნიკ ბუდარინის მესანგრეებმა; პოლკოვნიკ გორელკინის, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკ კარპოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ზვოლენის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ზვოლენის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 14 მარტს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ზვოლენი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ზვოლენის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 14 მარტი. № 301.

ჩრდილოეთ ტრანსილვანიის მოსახლეობის წარმომადგენელთა დეპეშა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი

ბუქარესტი, 14 მარტი. (საკდესი). 13 მარტს კლუჟის პრეფექტურაში საზეიმო დარბაზობის დროს მეფისა და რუმინეთის მთავრობის ყველა წევრის თანადასწრებით მიღებულ იქნა ტექსტი დეპეშისა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. დეპეშა 14 მარტს გამოაქვეყნა დედაქალაქის ყველა გაზეთმა:

„ჩრდილოეთ ტრანსილვანიის მოსახლეობის წარმომადგენლები, რომლებიც შეიკრიბნენ დღეს, 1945 წლის 13 მარტს, სახელოვანი საბჭოთა არმიების მიერ რუმინეთის არმიის ხელშეწყობით განთავისუფლებული ტრანსილვანიის დედაქალაქში, მოგესალმებიან თქვენ ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში რუმინეთის ადმინისტრაციის აღდგენასთან დაკავშირებით და პირობას გაძლევენ, რომ ყველაფერს გააკეთებენ ზურგში წესრიგისა და სიმშვიდის დასაცავად, ჩრდილოეთ ტრანსილვანიის მცხოვრებ ხალხთა შორის თანასწორობის განსახორციელებლად. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ჩრდილოეთ ტრანსილვანიამ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ფაშიზმის განადგურებისა და ჰიტლერიზმის უღლისაგან ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლას. გაუმარჯოს მარშალ სტალინს! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აკადემიკოს ვლადიმერ პეტრეს-ძე ფილატოვის სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მედიცინის განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, სამამულო ომის პერიოდში წითელი არმიის დაჭრილ მებრძოლთა და ოფიცერთა წარმატებითი მკურნალობისათვის, დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნას **სამამულო ომის 1-ლი ხარისხის** ორდენით სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის და უკრაინის სსრ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, გამოჩენილი ოფთალმოლოგი ვლადიმერ პეტრეს-ძე **ფილატოვი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 14 მარტი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ნ. პეტრიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ამბროლაურის რაიონის ფერშალი ამხ. ათანასიონ ნიკოლოზის-ძე პეტრიაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. სტურუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1945 წ. 13 მარტი, ქ. თბილისი.

ქ რ ო ნ ი კ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით წალენჯიხის რაიონის ჭალის სასოფლო საბჭოდან გამოიყო სოფელი მუქავა და შეიქმნა მუქავის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მუქავაში; ფახულანის სასოფლო საბჭოდან გამოიყო სოფლები ლანჯიში და ქალადალი და შეიქმნა ქალადალის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ქალადალში; ლიის სასოფლო საბჭოდან გამოიყო სოფელი ორჯონიკიძე და შეიქმნა ორჯონიკიძის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ორჯონიკიძეში.

ნაშრომი ამიერკავკასიის ქალაქების შესახებ

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხების ისტორიის კათედრის დოცენტი ა. გ. ფირცხალაიშვილი მრავალი წელია მუშაობს ამიერკავკასიის ქალაქების XIX საუკუნის ისტორიაზე. მისი დისერტაცია ისტორიულ ლიტერატურაში პირველი ნაშრომია ამიერკავკასიის საქალაქო ცენტრებში ვაჭრობის, მრეწველობისა და მეურნეობის განვითარების შესახებ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დააკმაყოფილა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. ი. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საბჭოს შუამდგომლობა ა. გ. ფირცხალაიშვილისათვის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

14 მარტის ოპერატიული ცნობა

14 მარტის განმავლობაში კენიგსბერგის სამხრეთ-დასავლეთით ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარები ეწეოდნენ შეტევით ბრძოლებს მოწინააღმდეგის ჯარების აღმოსავლეთ პრუსიის ჯგუფის მოსასპობად და დაიკავეს დასახლებული პუნქტები გროს კლინბეკი, ბრიუნვიზე, ლანკი, ბარტლანგენი, პირშკენი, პანსვალდე, გროს ლუდტკენფიურსტი, ვენლინდე, კენიგლიხ რედერსდორფი, ბოენვალდე, ბრაიტლინდე, ლინდენაუ და რკინიგზის სადგური ფოგელზანგი. ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 2.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებმაც დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა კარპატების ზოლის მთიან-ტყიან ადგილას, 14 მარტს დაიკავეს ქალაქი და დიდმნიშვნელოვანი რკინიგზის კვანძი ზვოლენი — გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი მდინარე გრონზე, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები ლესკოვეცი, მუოტოვა, მოზოლევცი, დობრა ნივა, ბანსკა ბელა, ტეპლა, რეპიშტე, პოვაჟანი.

უნგრეთში, ბალატონის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით, ჩვენი ჯარები წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის იერიშებს. 13 მარტის ბრძოლებში ამ რაიონში ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 39 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, გარდა ამისა ჩვენს ნაღმიან ველებზე დაზიანდა და აფეთქდა მოწინააღმდეგის 46 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი.

ფრონტის სხვა უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა და მზვერავები მოქმედებდნენ.

13 მარტს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 137 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 37 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძ ვესპრემს უნგრეთში

13 მარტს ღამით ჩვენმა მძიმე ბომბდამშენებმა დაარტყეს რკინიგზის კვანძ ვესპრემს უნგრეთში. დაბომბვის შედეგად რკინიგზის კვანძის ტერიტორიაზე ხანძრები გაჩნდა, რასაც ძლიერი აფეთქებანი ახლდა.

15 მარტის ოპერატიული ცნობა

15 მარტს კენიგსბერგის სამხრეთ-დასავლეთით ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარები, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, მიადგნენ ფრიშ გაფის ყურის სანაპიროს და დაიკავეს დასახლებული პუნქტები ვანგიტი, დიუმპელკრუგი, პინაუ, ალგენენი, აინზამი. დასახლებული პუნქტი ხაიდე ვალდბურგი, რომელიც 8 კილომეტრზე მდებარეობს კენიგსბერგის სამხრეთ-დასავლეთით, რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში და კვლავ ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს. ამრიგად, ფრიშ გაფის ყურის სანაპიროზე გასვლით ჩვენმა ჯარებმა ორ ნაწილად გაჭყვეს გერმანელთა ჯარების აღმოსავლეთ პრუსიის ჯგუფი. ამავე დროს ფრონტის ჯარებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტები კობელბუდე, ზოლეკენი, პერვილტენი, ვარგიტენი, კემერსბოფენი, ალბენორტი, ბრიუნვერი, ალბენეკი, ბლადიაუ, გროს რედერსდორფი, შენრადე, მარინხეე, ხერმსდორფი, კალვალდე, აიზენბერგი, ფრიდრიხსრუე, ფრიდხევხენი, ფოგელზანგი და რკინიგზის სადგური კობელბუდე. 14 მარტის ბრძოლებში ამ რაიონში ტყვედ ჩავიგდეთ 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

კოლბერგში გრძელდებოდა ბრძოლები ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში ბლოკირებული მოწინააღმდეგის გარნიზონის მოსასპობად.

უნგრეთში, ბალატონის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით, ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშები. 14 მარტის ბრძოლებში ამ რაიონში ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოსპობილი და დაზიანებულია გერმანელთა 50 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი.

ფრონტის სხვა უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა და მზვერავები მოქმედებდნენ.

14 მარტს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 90 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 18 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენმა ავიაციამ დაარტყა რკინიგზის კვანძსა და აეროდრომ ვესპრემს უნგრეთში

14 მარტს ღამით ჩვენმა მძიმე ბომბდამშენებმა დაარტყეს რკინიგზის კვანძსა და აეროდრომ ვესპრემს უნგრეთში. დაბომბვის შედეგად რკინიგზის კვანძსა და აეროდრომზე ხანძრები გაჩნდა, რასაც თან ახლდა აფეთქებანი.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში, კენიგსბერგის სამ- ... მტრის იერიშებს იგერიებდა, მოსპო გერმანელ- ... [illegible]

... ზე მიაქვთ წინააღმდეგობის კვანძებად გადაქცეულ შენობებზე და ზედიზედ სწმენდენ უბნებს ჰიტლერელთაგან. მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მოსდის. სწრაფი იერიშის შედეგად დაკავებულია რკინიგზის დეპო. ხელთ ვიგდეთ 10 ორთქლმავალი და 400 ვაგონი სხვადასხვა ტვირთიანად. ქვეითი ჯარის იარაღის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა ორი ჰიდროთვითმფრინავი. ტყვედ ჩავიგდეთ 600-ზე მეტი გერმანელი.

* * *

უნგრეთში, ბალატონის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით, ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მტრის იერიშები. ერთ უბანზე გერმანელებმა ბრძოლაში გამოიყვანეს 100-მდე ტანკი და მოტოქვეითი ჯარი. მრავალი საათის ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგე უკუგდებულ იქნა თავდაპირველ ზღუდეზე. სხვა უბნებზე ჰიტლერელები, რომლებიც ძლიერ საარტილერიო ცეცხლს წააწყდნენ, უკუიქცნენ, ისე რომ ჩვენს პოზიციებამდე ვერ მიაღწიეს. უფროსი ლეიტენანტ კრასნოსლობოდცევის მსროლელმა ასეულმა, რომელიც ... [illegible]

... მიხედვით, ჯარისკაცი, რომელიც ამას არ იზამს, დეზერტირია. ყველა გვარეობის ჯარის ჯარისკაცი, რომელსაც შეიპყრობენ დასახლებულ პუნქტებში, ალაგებში ან ლტოლვილთა შორის და რომელიც ამბობს, რომ თითქოს იგი თავის ნაწილს ეძებს, უნდა დაიხვრიტოს. საქმეები რომ დაუყოვნებლივ გაარჩიონ და განაჩენი გადაუდებლად მოყვანილ იქნას სისრულეში, ამისათვის არსდება მფრინავი სამხედრო-საველე სასამართლოები“.

გერმანელთა „მფრინავ სამხედრო-საველე სასამართლოებს“ დღისითა და ღამით აქვთ სხდომა და დასტობით გამოაქვთ სასიკვდილო განაჩენი. ისინი მაინც ვერ ასწრებენ განიხილონ ყველა საქმე დეზერტირობის შესახებ. ამიტომ ნაცისტი ოფიცრები ხშირად ხვრეტენ ჯარისკაცებს სრულიად გაუსამართლებლად და გამოუძიებლად. ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 56-ე ქვეითი დივიზიის 334-ე პოლკის ჯარისკაცმა იოზეფ დულინგმა განაცხადა: „22 თებერვალს ჩვენს ბატალიონში გაუსამართლებლად დახვრიტეს 15 გერმანელი ჯარისკაცი იმისათვის, რომ მათ პოზიციები დასტოვეს“.

[illegible]

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად

თავდება ზამთარი, ახლოვდება გაზაფხულის ... [illegible]

... ბიური ცნობები, სასოფლო-სამეურნეო ბროშურები, სტატიები და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა. წაკითხულებად შეიძლება მოვიზიდოთ მასწავლებლები, საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეები, წერა-კითხვის მცოდნე კოლმეურნეები, საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეები.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა, ისევე როგორც წარსულ წლებში, ფართოდ მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება. ძირითადი ვალდებულებაა: ჩინებული მომზადება საგაზაფხულო თესვისათვის. შეჯიბრება რომ ქმედითი იქნეს, რეგულარულად უნდა მოვაწყოთ კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მიერ ნაკისრ ვალდებულება- ... [illegible]

... პარტიისა და მთავრობის დადგენილება სოფლის მეურნეობის განვითარების 1945 წლის გეგმის შესახებ პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საბრძოლო პროგრამაა. ეს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო დავალება ბოლშევიკური ენერგიითა და სიზუსტით უნდა შესრულდეს. დაე მგზნებარე ბოლშევიკურმა სიტყვამ დაუღალავად აღძრას საბჭოთა სოფლის მშრომელების შემოქმედებითი ინიციატივა, შემატოს მათ ენერგია, აღაფრთოვანოს თავდადებული შრომის გასაწევად გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე საბოლოო გამარჯვებისათვის, ჩვენი დიადი საქმის ზეიმისათვის.

„პრავდის“ 15 მარტის მოწინავე

უკანასკნელი ცნობები

ჩერჩილის გამოსვლა კონსერვატიული პარტიის კონფერენციაზე

ლონდონი, 15 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა, რომელმაც დღეს სიტყვა წარმოსთქვა კონსერვატიული პარტიის კონფერენციაზე, განაცხადა:

„გერმანიისა და ნაცისტური ტირანიის წინააღმდეგ ომის განუწყვეტელი და სულ უფრო და უფრო სწრაფი განვითარება იმის იმედს გვაძლევს, რომ გიგანტური მტერი, რომლის წინააღმდეგაც ჩვენ ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მარტოდმარტო ვიმყოფებოდით უყოყმანოდ და გულგაუტეხელად, იძულებული გახდება მოახდინოს უსიტყვო კაპიტულაცია ანდა განიავებულ იქნება ქაოსსა და ნანგრევებს შორის. თუ ომი ევროპაში ზაფხულის დამლევამდე ან კიდევ უფრო ადრე დამთავრდება, რაც სულ ადვილი შესაძლებელია, ჩვენ დიდმნიშვნელოვან ნიშანსვეტს მივაღწევთ ჩვენს გზაზე, და ომიანობის პირობები აღარ შეუშლის ხელს საყოველთაო არჩევნების მოწყობას“.

ჩერჩილი შეეხო იაპონიასთან ომს და განაცხადა, რომ ეს ომი მოითხოვს ინგლისის ძალების დაძაბვას და რომ ინგლისი ამ ომში „უკანასკნელ დუიმამდე და უკანასკნელ წუთამდე“ შეასრულებს თავის მოვალეობას.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო უარჰყოფს ცნობებს როატას გაქცევაში ინგლისის მონაწილეობის შესახებ

ლონდონი, 14 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 13 მარტს საღამოს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საზღვარგარეთ გამოქვეყნებული ცნობები, თითქოს იტალიის სამხედრო დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელი გენერალი მარიო როატა ინგლისელთა დახმარებით გაექცა მართლმსაჯულებას, სრულ უაზრობას წარმოადგენს.

როგორც იუწყებიან, ამერიკელმა ჟურნალისტმა დრიუ პირსონმა განაცხადა, თითქოს რომიდან 4 მარტს როატას გაქცევა, რის შედეგადაც მან თავი გაითავისუფლა ჰოსპიტლიდან, სადაც მას ნება ჰქონდა დარჩენილიყო სასამართლო პროცესის დროს, მოწყობილ იქნა ინგლისელების მიერ. პირსონმა აგრეთვე განაცხადა, რომ ამჟამად როატა იმყოფება ბენგაზში ან ტრიპოლში, სადაც მას ინგლისელები მფარველობენ.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა 13 მარტს საღამოს განაცხადა, რომ „ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რასაკვირველია, არაფერი არ იცის იმის შესახებ, თუ სად იმყოფება გენერალი როატა“.

სოფლის მეურნეობის განვითარების 1945 წლის გეგმის შესახებ

ი. ბენედიქტოვი
სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე

გასული 1944 წელი სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნა. ომის ძნელ პირობებში კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უზრუნველჰყვეს სახაზინოდ თესვის უფრო მოკლე ვადებში და მინდვრის სამუშაოთა უკეთესი ხარისხით ჩატარება. მათ უფრო ორგანიზებულად დაამთავრეს მოსავლის აღება, მიიღწეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებას. ამან უზრუნველჰყო მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ჭარხლის, ბამბის, სელის ბოჭკოს, ზეთოვანი და სხვა კულტურების...

რაიონული საბჭოების სესიათა შესახებ

გ. სტურუა
საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა სამამულო ომის წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ჯერ კიდევ გასული წლის იანვარში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვებულ იქნა ჩვენი რესპუბლიკის მუშაობა...

...უნდა იქნას კონსტიტუციით გათვალისწინებული სესიათა მოწვევის ვადები. ეს დაგვეხმარება პარტიის, მთავრობის, ამხანაგ სტალინის დავალებათა უკეთ შესრულებაში, ხელს შეუწყობს მთელს ჩვენს ბრძოლას ჰიტლერული გერმანიის უსწრაფესი და საბოლოო განადგურებისათვის.

„იზვესტია“, 11 მარტი.

მოვიყვანოთ გამარჯვების მოსავალი

შ. ქოჩლაძე
საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჩალოს რაიკომის მდივანი

გმირი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებით აღფრთოვანებულმა ჩვენი რაიონის მშრომელებმა გასული სამეურნეო წელი კარგად დაამთავრეს. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფო დავალებანი. კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარეს 355 ტონა მარცვლეული, 21,000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, 64 ცენტნერი მატყლი. შესრულდა ხორცის, ყველის, კარაქის, კვერცხის, ტყავის, კარტოფილისა და თივის დამზადების გეგმებიც.

ჩვენს რაიონში ტექნიკური კულტურებიდან თამბაქო ერთ-ერთი წამყვანი კულტურაა...

წელს სიმინდის უხვი მოსავალი მიიღო სოფელ ქესალოს კოლმეურნეობა „ენი-იოლმა“ (ჰექტარზე 59 ცენტნერი). აქ შრომადღეზე 16 კილოგრამი სიმინდი დაარიგეს. 150-200 პროცენტით შეასრულეს სიმინდის მოსავლის...

...ზაფხულზე 3,509 ჰექტარი უნდა მოიხნას. ეს პასუხსაგები დავალებაა. როგორც პლენუმზე აღინიშნა, ზოგან შარშანდელი წარმატებებით თვითკმაყოფილებას მიეცნენ და მტს-ის დახმარების იმედით შეასუსტეს საკოლმეურნეო ინვენტარის რემონტი, მუშა-პირუტყვის მომზადება (ყაურ-არხის, ყიზილ-ჰაჯილოს და ხორჯონის სასოფლო საბჭოებში შემავალი კოლმეურნეობები). კარტოფილის თესლის დროულად შეძენის საქმეში უდარდელობა გამოიჩინეს კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ და კოლმეურნეობა „ილიჩის გზის“ თავმჯდომარეებმა...

ბელორუსიის მესამე ფრონტი. აღმოსავლეთი პრუსია. საბჭოთა ჯარების მიერ დაკავებულ ქალაქ ინსტერბურგში. ფოტო ლ. ველიკჟანინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).



ბელორუსიის მეორე ფრონტი. აღმოსავლეთი პრუსია. წითელი არმიის ჯარების მიერ დაკავებულ ქალაქ ალენშტაინში. ფოტო ე. ევზერიხინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ბელორუსიის პირველი ფრონტი. ტყვედ წამოყვანილ ჰიტლერელთა კოლონა ბადრაგით მოჰყავთ ზურგში. ფოტო ბ. პუშკინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

წერილები ფრონტიდან

ჩვენი სახელოვანი მებრძოლების წერილები! ფული სიხარულით გევსება, როცა კითხულობ ამ მგზნებარე სტრიქონებს. თვითეული მათგანი გამსჭვალულია სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობით. ფრონტელები უბრალოდ, სადად მოგვითხრობენ წითელი არმიის გამარჯვებებზე, ჩვენი მებრძოლების მამაცობაზე, რასაც ისინი სამამულო ომის ფრონტებზე იჩენენ.

ყოველ დღეს სასიხარულო ამბავი მოაქვს. ჩვენი არმია ძლევამოსილად მიიწევს წინ მტრის მიწა-წყალზე ბერლინისაკენ. დადგა შურისგების ჟამი. საბჭოთა მეომრები სასტიკად გაუსწორდებიან ფერაგ მტერს ჩვენი თავისუფალი ქვეყნის აოხრებისათვის, ჩვენი დედების ცრემლებისათვის, ჩვენი ბავშვების ტანჯვისათვის, იმ უმაგალითო მხეცობისათვის, რასაც დროებით ოკუპირებულ მიწა-წყალზე ფაშისტები სჩადიოდნენ.

უმცროსი ლეიტენანტი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე გვეუჩაძე ფრონტიდან გვწერს:

„ჩვენი ხალხი, ჩვენი ახალგაზრდობა ბედნიერად ცხოვრობდა, შრომობდა სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის, ისახავდა ახალ მიზნებს, ჰქმნიდა ბრწყინვალე მომავალს. ჰიტლერელმა მხეცებმა ეს მშვიდობიანი შემოქმედებითი ცხოვრება დაგვირღვიეს და თავს მოგვახვიეს საშინელი ომი. ჰიტლერელები თავიანთი ბოროტმოქმედებისათვის აღიგვებიან დედამიწის პირისაგან. მოახლოვდა ის ბედნიერი დღე, როდესაც წითელი არმია მოკავშირეებთან ერთად აღმართავს გამარჯვების დროშას ბერლინში. ჰიტლერი და მისი დამქაშები წარსდგებიან მშვიდობისმოყვარე ხალხთა სამსჯავროს წინაშე და პასუხს აგებენ".

მტრის ტერიტორიაზე — აღმოსავლეთ პრუსიაში მამაცურად იბრძვის და ჰიტლერელებზე შურს იძიებს ქართველი ხალხის შვილი მიხეილ ისაკის-ძე ჩხაიძე. სამშობლოს პირველი მოწოდებისთანავე იგი წავიდა ფრონტზე და ბრძოლებით განვლო გმირული გზა სტალინგრადიდან — ტილზიტამდე. მას აინტერესებს მშობლიური საქართველოს ამბები და გვწერს:

„ფრონტის მოწინავე ხაზზე დროებითი შესვენების მომენტში მომენატრება ხოლმე თქვენი გაზეთის ფურცლების გადახედვა და ზოგადად მაინც გაგება, თუ რა ხდება საყვარელ მშობლიურ მხარეში. მინდა წარმოდგენა ვიქონიო ქართველი ხალხის მხატვრულ, შემოქმედებითს და მეცნიერულ მიღწევებზე უკანასკნელ პერიოდში".

გერმანელთა მიერ ჩადენილ საშინელ მხეცობაზე და ადამიანთა ჟლეტის ბანაკებზე გვწერენ მებრძოლები მ. მონიავა, ვ. კახაძე და გვარდიის ზემდეგი ს. დოლიძე.

„პოლონეთში მისვლის შემდეგ ბევრჯერ წავიკითხე გაზეთებში ქალაქ ლიუბლინში გერმანელების მიერ ჩადენილ მხეცობაზე, — სწერს თავის წერილში მ. მონიავა. — მაინტერესებდა ჩემი თვალით მენახა ის ღუმელები, სადაც ადამიანებს სწვავდნენ. მეთაურს ვთხოვე და წაგვიყვანეს კიდევაც სანახავად. ძნელი ასაწერია ის საზარელი სურათი. ყველაფერი დამამტკიცებელია ჰიტლერელთა მხეცობისა.

ყველა ჩვენგანს შურისძიების გრძნობა გაგვიძლიერდა. ჩვენმა წითელმა არმიამ მოუსპო მტერს თარეშის საშუალება, განდევნა იგი ჩვენი ქვეყნიდან. დღეს მტერი შემძვრალია თავის ბინძურ ბუნაგში".

ჩვენს სახელოვან მებრძოლებს აღაფრთოვანებს ის დიდი ყურადღება და სიყვარული, რასაც მათდამი იჩენენ ზურგის მუშაკები. აი რამდენიმე მაგალითი.

ჩოხატაურში მცხოვრებმა ქალიშვილებმა ფრონტზე გაგზავნეს ამანათი და წერილი მისწერეს მებრძოლებს. ისინი სწერდნენ: „საყვარელო უცნობო ძმებო — ფრონტელებო! ჩვენ ისე, როგორც თქვენ ფრონტზე, ზურგში დაუღალავად ვმუშაობთ და გეხმარებით, რითაც კი შეგვიძლია. გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ გეგმებს ერთისამად შევასრულებთ და თქვენთან ერთად უზრუნველვყოფთ კაცობრიობის უსაზიზღრესი მტრის გერმანელი ფაშისტების საბოლოოდ განადგურების საქმეს".

როგორც კი ეს წერილი მოწინავე ხაზზე წაიკითხეს, გვწერს გვარდიის ზემდეგი სევერიან ყაისარის-ძე დოლიძე, მებრძოლებმა ჩოხატაურელი გოგონების სახელით მათი თხოვნის შესასრულებლად ხუთ-ხუთი ყუმბარა ესროლეს ქაციფიას გერმანელებს. ეგრეთვე ყუმბარებმა და ჩვენმა ქვემეხებმა თავიანთ საბრძოლო ანგარიშზე დაიწერეს რამდენიმე ასეული ფრიცი. გერმანელებს ეგონათ რუსები შეტევაზე გადმოვიდნენო და დასტოვეს მაღლობი.

„იმ გოგონებს მინდა მივულოცო წითელი არმიის წინსვლა, მინდა შევატყობინო, რომ შესრულებულია მათი სურვილი. სულ მოკლე ხანში ჰიტლერული ბანდა საბოლოოდ იქნება განადგურებული და ჩვენ, ქართველი ბიჭები, გამარჯვებული დავბრუნდებით საქართველოში", — სწერს ს. დოლიძე.

უფროსი ლეიტენანტი პეტიკო სერაპიონის-ძე რობაქიძე იწერება წერილს აღმოსავლეთ პრუსიიდან და გადმოგვცემს, თუ რა აღტაცებაში მოვიდა, როცა „კრასნოარმეისკაია პრავდაში" წაიკითხა ცნობა საქართველოს წარჩინებული ადამიანის ანდრია წიკლაურისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

„თქვენი წარმატებები შრომაში, — სწერს იგი ა. წიკლაურს, — ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე მრავალჯერ მსმენია. ახლა, ომის დღეებში, თქვენი დაუღალავი შრომა ზურგში, რისთვისაც დაიმსახურეთ მთავრობის უმაღლესი ჯილდო, ჩვენ, ფრონტელებს აღგვაფრთოვანებს საგმირო საქმეებისათვის, რათა წარმატებით შევასრულოთ დიდი ბელადის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანება — დაჭრილი ფაშისტი მხეცი მოვსპოთ მისსავე ბუნაგში.

თქვენს წარმატებებს ჩვენ, ფრონტელები, ვუპასუხებთ გმირული ბრძოლით".

თავიანთ ფიცს სამშობლოსა და ხალხის წინაშე ჩვენი მამაცი მებრძოლები პირნათლად ასრულებენ. ისინი თავდადებით იბრძვიან და ახლოვებენ მტერზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების სანატრელ დღეს.

ა. ჭყონია

მცხეთის რაიონმა შეასრულა თავთავიანი კულტურების თესვის გეგმა

მცხეთა („კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან). რაიონის კოლმეურნეობებმა წელს რესპუბლიკაში ყველაზე ადრე დაიწყეს საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესვა და გეგმა უკვე შეასრულეს 118,5 პროცენტით.

სოფელ წეროვნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ახალაშვილი) გეგმის გადამეტებით დასთესა 70 ჰექტარი პურეული. სოფელ წილკნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. პაპავაძე) 30 ჰექტარი, სოფელ ძალისის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. მუხრანელი)—15 ჰექტარი.

გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე სოფელ მისაქციელის კოლმეურნეობა „ნამგალ ჩაქუჩმა", სოფელ ერედის ვოროშილოვისა და სოფელ ძეგვის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებმა.

თავთავიანი კულტურების თესვა გრძელდება.

წარმატებით სრულდება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ყანებში ნაკელის გატანის შესახებ. კოლმეურნეობებმა წლიური გეგმით გათვალისწინებული 15.000 ტონიდან 11 მარტისათვის უკვე გაზიდეს 12.100 ტონაზე მეტი ნაკელი.

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი

გრიგოლ ქლენტი

გვარდიის კაპიტანმა გრიგოლ ვიქტორის-ძე ქლენტმა ბრძოლებით განვლო სახელოვანი გზა მოსკოვის მისადგომებიდან სმოლენსკამდე, ვორონეჟიდან კიევამდე და ჟიტომირამდე, გომელიდან—როგაჩევამდე, ლუცკიდან—ლვოვამდე.

ამ ქალაქების განთავისუფლებისათვის ბრძოლებში კაპიტან გრიგოლ ქლენტის ბატალიონი შეუჩერებლად მიდიოდა წინ. მისი საგმირო საბრძოლო ეპიზოდები მთელ ფრონტზეა ცნობილი. კაპიტანი ბუხტიაკი და ლეიტენანტი ზვიაგინი გრიგოლ ქლენტის თანამოძმეებს სწერენ:

„ღამეა. ღრმა თოვლში საბჭოთა მზვერავებმა გადალახეს ფრონტის ხაზი და ტყეში შევიდნენ. მზვერავები ფრთხილად მიდიოდნენ. უცბად წინ მიმავალი ქლენტი შეჩერდა, მას მოესმა პატეფონის ხმა.

ქლენტმა მებრძოლებს უბრძანა ყოველი შემთხვევისათვის მზად ყოფილიყვნენ, თვითონ კი იქით წავიდა, საიდანაც მუსიკის ხმა ისმოდა. მან შეიხედა ბლინდაჟის სარკმელში და დაინახა გერმანელები, რომლებიც შემოსხდომოდნენ პატეფონს და უკრავდნენ.

ქლენტმა უცბად შეაღო კარი და ბლინდაჟში შევიდა. მოულოდნელი „სტუმრის" გამოჩენაზე ერთი ოფიცერი წამოიჭრა, შემდეგ მეორე, მაგრამ ქლენტმა ორივე მოჰკლა რევოლვერით. ბლინდაჟში სინათლე ჩაჰქრა, ყველაფერი აირია. ქლენტი გარეთ გამოხტა და თავისი ჯგუფით მიიმალა.

მზვერავებმა ტყეში აღმოაჩინეს მტრის სარეზერვო გარნიზონი. რამდენიმე ხნის შემდეგ ყველაფერი, რაც ამ ადგილზე იყო, სახელდახელოდ საბჭოთა არტილერიის ცეცხლით ჰაერში აიტყორცნა. მტრის გარნიზონი მოსპობილ იქნა".

წითელი არმიის ნაწილები ნ ქალაქს ათავისუფლებდნენ. მტერი ებღაუჭებოდა თვითეულ ქუჩას, თვითეულ სახლს. ქალაქის ცენტრალურ ადგილზე ოთხსართულიანი სახლი გერმანელებმა გაამაგრეს. ქვეგანაყოფის მ ე თ ა უ რ ს ქლენტს ებრძანა დაეკავებინა ეს სახლი. ტყვიამფრქვევთა ცეცხლის საფარქვეშ ქლენტმა თავისი ნაწილი იერიშზე წაიყვანა. მებრძოლები ცალკე ჯგუფებად დაიყვნენ და შენობაში შევიდნენ. მალე ჰიტლერელები განდევნილ იქნენ პირველი სართულიდან და გამოსავლის უქონლობის გამო მეორე სართულზე ავიდნენ. დაიწყო ბრძოლა კიბის თვითეული საფეხურისათვის. გერმანელები ისროდნენ გრანატებს, ტყვიამფრქვევს და ავტომატებს, მაგრამ საბჭოთა მებრძოლების შეუპოვარი დარტყმებით გერმანელები იძულებული გახდნენ იარაღი დაეყარათ. ასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი ჩაგვბარდა ტყვედ.

გრიგოლ ვიქტორის-ძე ქლენტი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორდენით, ალექსანდრე ნეველის ორდენით და სამი მედლით.

* * *

გრიგოლ ვიქტორის-ძე ქლენტი დაიბადა 1919 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ სამებაში. საშუალო სკოლა დაამთავრა ჩოხატაურში და სწავლა განაგრძო საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში.

1939 წელს გრიგოლ ქლენტი მიღებულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) წევრად.

გრ. მამალაძე

გიორგი კურტანიძე

წყნარი დილა იყო. გიორგი კურტანიძე 5 მზვერავით ფრონტის ხაზს გასცილდა და მტრის ზურგში მოექცა. მზვერავთათვის ძვირფასია ყოველი წუთი. ისინი სწრაფად, მაგრამ ფრთხილად მოძრაობდნენ. ისინი მიაბიჯებდნენ უკვე მტრის მიწაზე, პრუსიის მიწაზე!

ბუჩქებიდან გზატკეცილზე გავიდნენ. 11 გერმანელი ჯარისკაცი შეამჩნიეს, ფრონტისაკენ მიდიოდნენ. ახლო იყვნენ. დაედევნენ მზვერავები, გზა გადაუჭრეს და ჩაუსაფრდნენ. როცა გერმანელები მოახლოვდნენ, ჩვენი მეომრების ავტომატებმა დაიკაკანეს. ფრიცები დაიბნენ. 3 მათგანი უსულოდ დაეცა მიწაზე. დანარჩენებმა ხელები ასწიეს. მათ გიორგიმ ქართულად შეუკურთხა. ექვსმა წითელმა მეომარმა განაიარაღა 8 გერმანელი და, სანამ მზე ამოვიდოდა, ნაწილის სარდლობას მოჰგვარა ისინი.

ომს დიდი ხანია შეეჩვია გიორგი კურტანიძე. იგი ომის დასაწყისში უმცროსი სერჟანტი იყო. ახლა კი გვარდიის ლეიტენანტია. მზვერავ-არტილერისტთა ასეულს მეთაურობს. მისი ასეულის მებრძოლთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ერთხელ მტრის ზურგში, ფრონტიდან 3 კილომეტრის დაშორებით, დაზვერვაზე ყოფნის დროს გიორგის სერჟანტი კულბაჩკო დაუჭრეს. მიუხედავად იმისა, რომ მტერი ფეხდაფეხ მისდევდა და სიცოცხლე საფრთხეში იყო, გიორგიმ დაჭრილი სერჟანტი 3 კილომეტრზე ზურგით ატარა და მშვიდობით მოიყვანა ჩვენს სანიტარულ ნაწილამდე.

გვარდიის ლეიტენანტი გიორგი კურტანიძე დაჯილდოებულია წითელი დროშის და წითელი ვარსკვლავის ორდენებითა და მედლით „ლენინგრადის დაცვისათვის".

„ახლა, იმ დღეებს ვნატრობ, როცა ბერლინის ქუჩებს დავზვერავთ, მიხარია, რომ ეს ნატვრაც მალე ამისრულდება", — იწერებოდა მამაცი ლეიტენანტი ამას წინათ პრუსიიდან.

გ ი ო რ გ ი ანტონის-ძე კურტანიძე დაიბადა სოფელ ტიმოთესუბანში (ბორჯომის რაიონი) 1920 წელს. 1937 წელს დაამთავრა წაღვერის საშუალო სკოლა, 1939 წლიდან წითელი არმიის რიგებშია. ომის დაწყების პირველ დღიდანვე იგი ფრონტზეა და ვაჟკაცურად იბრძვის საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ვ. ბელაშვილი

მუშათა ახალი კადრები ბათუმის საწარმოებს

[illegible]

წარმოების პასუხისმგებლო უბნები უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური კადრებით. სერიოზული ყურადღება ექცევა სტახანოვური სკოლების მუშაობას. ქარხანაში 14 სტახანოვური სკოლაა. გასულ წელს ამ სკოლებმა 104 კვალიფიციური მუშა მოამზადეს. აქედან 14 მუშამ ორი სპეციალობა აითვისა.

აგრეთვე კარგად არის დაყენებული ახალი კადრების მომზადება ბათუმის სორთქლმავლო და სავაგონო დეპოებში და მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

მაგრამ არიან ისეთი საწარმოებიც, სადაც კადრების მომზადებისათვის ზრუნვის საქმე სათანადო სიმაღლეზე არა დგას. ზოგან მეცადინეობას პროგრამის მიხედვით არ აწარმოე-[illegible] მეურნეო ხელმძღვანელობა და არც პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ამ საქმეს სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან. ამის შედეგია, რომ მუშათა საწარმოო სწავლების გეგმის შეუსრულებლობასთან ერთად დაბალია სწავლის ხარისხი, ხშირია ახალი მუშების მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

ჩვენი მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის აუცილებელია გავაუმჯობესოთ მუშათა ახალი კადრების მომზადების საქმე. ეს მოითხოვს დროულად გამოვასწოროთ ამ დარგში არსებული ნაკლოვანებანი.

ვ. ანთაძე

წარმატებით დავამთავროთ მიმდინარე სასწავლო წელი

ამ დღეებში საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებამ მოიწვიეს სკოლის დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეების, განათლების განყოფილებათა გამგეებისა და სასკოლო ინსპექტორების თათბირი.

თათბირზე მოხსენებით—წარმატებით დავამთავროთ სასწავლო წელი—გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე ამხ. ბ. კიზირია.

— მიმდინარე სასწავლო წელი დასასრულს უახლოვდება,—განაცხადა ამხ. კიზირიამ. — წელს ჩვენი სკოლების IV და VII კლასების მოსწავლეები პირველად აბარებენ გამოსაშვებ გამოცდებს. პირველად აბარებენ ვამოცდებს [illegible] არ აღმოაჩნდა, რამაც გარკვეული გავლენა იქონია პროგრამის გავლაზე.

მოსწავლეთა მკვიდრი ცოდნით შეიარაღებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება გავლილი მასალის გამეორების სწორ ორგანიზაციას. ამ მხრივ ჩვენს სკოლებში წლის დასაწყისიდანვე დაიწყო მუშაობა. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა გასული წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში ყველა სკოლას დაუგზავნა გამეორების კალენდარული გეგმები.

სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასება. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რა ნიშანი მიიღო ამა თუ იმ დისციპლინაში. უნდა აიკრძალოს ცოდნის პირობითი ნიშნებით შეფასება.

[illegible]

ვ. გოგუა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილე სათბობისა და ენერგეტიკული მრეწველობის დარგში.

უმდიდრესი ჰიდროენერგეტიკული რესურსები სოფლის ელექტროფიკაციის სამსახურში

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, მეფის თვითმპყრობელობის დროს საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ქალაქ თბილისისა) იყო სულ 1.500 კილოვატამდე საერთო სიმძლავრის 12 ელექტროსადგური, რომლებიც განლაგებული იყვნენ მხოლოდმხოლოდ ქალაქებში და საკურორტო ადგილებში და წარმოადგენდნენ პრივილეგირებული კლასის —კაპიტალისტებისა და მეფის მოხელეთა ფუფუნების საგანს.

მენშევიკების—ქართველი ხალხის ამ უბოროტესი მტრების ბატონობის დროს არაფერი არ გაკეთებულა სოფლის ელექტროფიკაციის დარგში. პირიქით, ქალაქებსა და კურორტებში არსებული ელექტროსადგურები სრულ გაპარტახებამდე იქნა მიყვანილი.

საქართველოში სოფლის ელექტროფიკაციის საკითხს სათანადო ყურადღება მიექცა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების [illegible]

[illegible] სა, რომლის სიმძლავრეც 96 კილოვატს უდრის,—25 პროცენტით, ხანისწყლის ჰიდროელსადგურისა (მაიაკოვსკის რაიონი), რომლის სიმძლავრეც 80 კილოვატს უდრის,—34 პროცენტით, მესტიის ჰიდროელსადგურისა, რომლის სიმძლავრეც 80 კილოვატს უდრის,—27 პროცენტით, ბარისახოს ჰიდროელსადგურისა, რომლის სიმძლავრეც 32 კილოვატს უდრის,— 11 პროცენტით. ბორჩალოს რაიონის სარვანის ჰიდროელსადგურთან, რომლის სიმძლავრეა 300 კილოვატი, მისი ექსპლოატაციის ოთხი წლის მანძილზე შეერთებულია მხოლოდ კომუნალური წყალსადენი და მას არც ერთი სასოფლო-სამეურნეო დატვირთვა არა აქვს.

შეუწყნარებლად გაჭიანურდა მშენებლობა ბოგდანოვკის ჰიდროელსადგურისა, სალმეს ჰიდროელსადგურისა (გაგრის რაიონში), ციხისჯვრის ჰიდროელსადგურისა (ბორჯომის რაიონში), ძამაჰესისა (ქარელის რაიონში), [illegible]

[illegible] თანავე ისინი ძველებურად კი არ უნდა აღვადგინოთ, ისინი უნდა აღვადგინოთ თანამედროვე, მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებულ, საფუძველზე. თქვენ იცით, რომ ეს საფუძველი ელექტრობაა, რომ მხოლოდ მაშინ, როცა მთელი ჩვენი ქვეყნის, მრეწველობისა და მიწათმოქმედების ყველა დარგის [illegible]

[illegible] დება. სოფლის ელექტროფიკაციის საკითხებისადმი ანალოგიურ დამოკიდებულებას ადგილი აქვს ბორჩალოს, ამბროლაურის, ბოლნისის და მთელ რიგ სხვა რაიონებში, სადაც არსებულ ელექტროსადგურთა სიმძლავრის ათვისება სრულიად არასაკმაოდ სწარმოებს.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და სა- [illegible]



სტალინგრადის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სატრაქტორო ქარხანა. სურათზე: ერთ-ერთი აღდგენილი საამქრო.
ფოტო ნ. სიტნიკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სკოლა და მუზეუმი

სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თვალსაჩინოებას. მისი გამოყენების აუცილებლობა წამოყენებული იყო ჯერ კიდევ ძველად. თვალსაჩინოების პრინციპი დაკანონდა პედაგოგიკაში.

თვალსაჩინოება აძლიერებს მოსწავლის ყურადღებას, იწვევს მეტ ინტერესს, იძლევა სწორსა და ნათელ წარმოდგენას, ხელს უწყობს დამახსოვრებას. მატერიალური სინამდვილის სწორად გაგება ძნელი ხდება, თუ ადამიანის გრძნობათა ორგანოები ანუ რეცეპტორები არ განიცდიან მატერიალური სამყაროს ზემოქმედებას. ამიტომ ცოდნის შეძენის პროცესში მოსწავლეებს ამოქმედებენ მთელი მიმღები აპარატით (მხედველობა, სმენა, შეხება, ყნოსვა და სხვ.), და ამ გზით უზრუნველყოფენ ზუსტი წარმოდგენისა და ცოდნის შემუშავებას. შესასწავლ ობიექტს მოსწავლე უნდა ეხებოდეს, აკვირდებოდეს და ყოველმხრივ ეცნობოდეს, რის შესაძლებლობაც მას ყოველთვის არა აქვს სკოლაში. ეს, ბუნებრივია, იწვევს სასწავლო ექსკურსიები მოწყობის აუცილებლობას მუზეუმებში, სადაც თავმოყრილია მრავალი კოლექცია მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან.

1938 წლის 24 ივნისს ნ. კრუპსკაიას მიერ ხელმოწერილ ინსტრუქციაში, რომელიც შეეხებოდა სკოლაში მუშაობის გაძლიერებას, მუზეუმებისა და სკოლების ერთმანეთთან კავშირს, ვკითხულობთ, რომ ჩვენი მუზეუმები წარმოადგენენ ძვირფასს დამხმარე საშუალებას სასკოლო მუშაობაში; მუზეუმში მოწყობილი ექსკურსიები უნდა შეადგენდნენ ისტორიის სწავლების განუყრელ ნაწილს, ისინი უნდა შევიდნენ თვითეული მასწავლებლის სასწავლო პროგრამაში.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1920 წელს, როდესაც მან შენიშვნები გაუკეთა ნ. კრუპსკაიას თეზისებს „პოლიტექნიკური განათლების შე- [illegible]

მოსწავლეთა ექსკურსიები მუზეუმში ხელს უწყობენ სასწავლო პროცესს, საგნის უკეთ შესწავლას, სკოლაში და ბუნების წიაღში შეძენილი ცოდნის გაღრმავებას, დამახსოვრებას, აჩვევენ მოსწავლეებს დაკვირვებებს, კოლექტიურ შრომას. გაკვეთილებზე ახსნილი უფრო ნათელი ხდება მუზეუმების ექსპონატების საშუალებით. წარმოუდგენელი, ან ძნელად წარმოსადგენი ბუნდოვანი საგნები ცოცხლდებიან და ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებენ მოსწავლეებზე, როდესაც ისინი სინამდვილეში ხედავენ მათ. მეხსიერებაში დიდხანს რჩებიან სახელმძღვანელო წიგნების სურათები და ტაბულების სქემები. ისინი მოსწავლეებში აღვივებენ და ამახვილებენ დაკვირვების უნარს, ავითარებენ დამოუკიდებელი მუშაობის, საზოგადოებრივი აქტივობის ჩვევებს. მუზეუმის ექსპონატს შეუძლია მოსწავლის შეგნებაში წამოჭრას მთელი რიგი კითხვები და მისცეს მასალა შეჯამებისათვის, დაინტერესოს საკლუბო მუშაობისათვის, ჩაუნერგოს სამშობლოს ღრმა სიყვარული და უსაზღვრო თავდადება ლენინ-სტალინის საქმისადმი. მუზეუმის ექსპონატების დათვალიერებისას მოსწავლე იგრძნობს, თუ რა დიდ ყურადღებას იჩენს ლენინ-სტალინის პარტია კაცობრიობის კულტურის, ბუნების ძეგლების დაცვისა და მათი შესწავლისადმი.

სასწავლო ექსკურსიები ისეთნაირად უნდა მოეწყოს, რომ მოსწავლეებმა შეიძინონ „განსაზღვრული“ და წინდაწინ „გათანგარიშებული“ ცოდნა. ეს მოითხოვს არა მთლიანი სამუზეუმო კოლექციების დათვალიერებას, არამედ განსაზღვრული, რომელიმე თემასთან დაკავშირებული ექსპონატების განხილვას.

სასკოლო ექსკურსიებს ხელმძღვანელობს თვითონ მასწავლებელი. იგი წინასწარ ეცნობა სამუზეუმო ექსპონატებს, მუზეუმის თანამშრომელთა დახმარებით სწავლობს და არ- [illegible]

[illegible]

ნ. ნიორაძე. [illegible]

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 15 მარტი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მოკავშირეთა ხიდწინა სიმაგრე რაინზე, რემაგენთან, ახლა 8 კილომეტრს აღწევს სიღრმით და გაფართოებულია ჩრდილოეთისაკენ დაახლოებით 2 კილომეტრით გონეფის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მოკავშირეთა ქვეითმა ნაწილებმა დასძლიეს მტრის გააფთრებული წინააღმდეგობა და წინ წაიწიეს დაახლოებით 5,5 კილომეტრით ლინცის აღმოსავლეთით. ტრირის სამხრეთ-დასავლეთით მოკავშირეთა ქვეითმა ნაწილებმა წინ წაიწიეს დაახლოებით 4 კილომეტრით აღმოსავლეთისაკენ და დაიკავეს 4 ქალაქი. საარბრიუკენის დასავლეთით მოკავშირეები გადავიდნენ საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზე, გადალახეს მდინარე საარი და ექვსი ქალაქი დაიკავეს.

13 მარტს მოკავშირეებმა ხელთ იგდეს 2.413 ტყვე.

14 მარტის განმავლობაში მოკავშირეთა თვითმფრინავები თავს ესხმოდნენ გერმანელების კომუნიკაციებს ჰოლანდიასა და დასავლეთ გერმანიაში, აგრეთვე საბრძოლო ჰოზიციების ფრონტის მთელ მანძილზე.

ლონდონი, 15 მარტი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მე-5 და მე-8 არმიების უბნებზე იტალიაში მდგომარეობა არ შეცვლილა.

მოკავშირეთა ჯარებმა ახალი ხიდი გააკეთეს რაინზე

ლონდონი, 14 მარტი (საკდესი). ამერიკის 1-ლი არმიის ნაწილებთან მყოფი რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ გენერალ ჰოჯესის ჯარებმა ახალი ხიდი გააკეთეს რაინზე რემაგენის მახლობლად. ეს ხიდი აგებულ იქნა 96 საათში მას შემდეგ, რაც მოკავშირეებმა ხელთ იგდეს რკინიგზის ხიდი „ლიუდენდორფი“.

ამერიკის ავიაციის მოქმედება გერმანიაში

ლონდონი, 15 მარტი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით ამერიკელთა „მფრინავი ციხისა“ და „ლიბერეიტორის“ მარკის 1.250-ზე მეტი ბომბდამშენი გუშინ თავს დაესხა სამ ჯავშანსატანკო ქარხანას ჰანოვერში, ნავთსაწმენდ ქარხნებს მისბურგსა და ნიენბაგენში, მეტალურგიულ ქარხანას გილესჰაიმში, წყალქვეშა ნავების ბაზას ჰოლანდიის ნავსადგურ ეიმეიდენში და რკინიგზის დეპოებსა და ხიდებს რურის ოლქიდან მიმავალ მაგისტრალებზე. ბომბდამშენები მიდიოდნენ 650 ავიაგამანადგურებლის თანხლებით.

ამერიკის ავიაციის თავდასხმა ოსაკაზე

ვაშინგტონი, 14 მარტი. (საკდესი). ამერიკის ბომბდამშენი ავიაციის მე-20 შენაერთის შტაბი იუწყება, რომ 13 მარტს ღამით 300-მდე ბომბდამშენი „ბ—29“ თავს დაესხა სამხედრო-სამრეწველო ობიექტებს ოსაკაში (იაპონია), სადაც 2.000 ტონა ცეცხლგამჩენი ბომბი ჩამოჰყარა.

ტოკიო, 14 მარტი. (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ 13 მარტს 23 საათისა და 30 წუთიდან 90-მდე ბომბდამშენი „ბ—29“ სამი საათის განმავლობაში ბომბავდა ჰრუბლებიდან ქალაქ ოსაკას. წარმოშობილი ხანძრების უმეტესობა, სააგენტოს სიტყვით, ჩააქრეს მეორე დღეს.

ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 15 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბმა ცნობა გამოაქვეყნა, რომ ამერიკის ჯარები გადასხდნენ კუნძულ მინდოროსა და ლუსონს შუა მდებარე კუნძულებზე რომბლონსა და სიმარაზე. კუნძულ რომბლონის იაპონელთა გარნიზონი მოსპობილია. კუნძულ ლუსონზე ამერიკის ჯარები განაგრძობენ წინსვლას მანილის აღმოსავლეთით. მანილის ჩრდილოეთით მოგერიებულია იაპონელთა რამდენიმე კონტრიერიში.

ზეიმი ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში
რუმინეთის მთავრობის სხდომა ქალაქ კლუჟში

კლუჟი, 13 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა დიდი სახალხო დღესასწაული, რომელიც მიეძღვნა რუმინეთთან ჩრდილოეთ ტრანსილვანიის შეერთებას. დღესასწაულზე მოვიდნენ რუმინეთის მეფე, რუმინეთის მთავრობის მთელი შემადგენლობა პრემიერ-მინისტრ პ. გროზას მეთაურობით, აგრეთვე საბჭოთა წარმომადგენლები სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკის მეთაურობით. ვაგზალში ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული საბჭოთა და რუმინეთის ჯარებისაგან. ორკესტრმა შეასრულა რუმინეთის და საბჭოთა ჰიმნები. მეფე, რუმინეთის მთავრობა, ა. ი. ვიშინსკი, მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი სუსაიკოვი და მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის პასუხისმგებელი თანამშრომლები, რომლებიც მათ ახლდნენ, ჯერ წავიდნენ საკათედრო ტაძარში, სადაც რუმინეთის პატრიარქ ნიკოდიმის თანდასწრებით გადახდილ იქნა საზეიმო წირვა.

კლუჟის ქუჩები და მოედნები გაჭედილი იყო ათასობით მცხოვრებლებით, რომლებსაც ხელში ეკავათ რუმინული და საბჭოთა ბაირაღები და გაერთიანებულ ერთა ბაირაღები, სტალინის პორტრეტები და ლოზუნგები რუმინულ და უნგრულ ენაზე.

შემდეგ თავისუფლების მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ასი ათასზე მეტმა მცხოვრებმა. სიტყვები წარმოსთქვეს პრემიერ-მინისტრმა პეტრე გროზამ და ნაციონალურ-დემოკრატიული ფრონტის საბჭოს წარმომადგენლებმა. სიტყვა წარმოსთქვა ა. ი. ვიშინსკიმ, რომელმაც ჩრდილოეთ ტრანსილვანიის მოსახლეობას მიულოცა რუმინეთთან შეერთება და რწმენა გამოსთქვა, რომ ეს ისტორიული აქტი განამტკიცებს ჩრდილოეთ ტრანსილვანიის ხალხთა მეგობრობას და რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობას.

მიტინგის დამთავრების შემდეგ გაიმართა საბჭოთა და რუმინეთის ჯარების პარადი, რასაც მოჰყვა კლუჟისა და ახლომახლო სოფლების მოსახლეობის დემონსტრაცია. საბჭოთა ჯარების გავლამ გამოიწვია ერთსულოვანი ოვაცია, მისალმებანი საბჭოთა კავშირისა და მარშალ სტალინისადმი. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ლოზუნგები: „გაუმარჯოს რუმინეთის დემოკრატიულ მთავრობას!“, „გაუმარჯოს თავისუფალ ჩრდილოეთ ტრანსილვანიას!“, „გაუმარჯოს მარშალ სტალინს!“.

კლუჟი, 13 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს კლუჟში შესდგა რუმინეთის მთავრობის საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრო ა. ი. ვიშინსკი. სხდომის გახსნისას პრემიერ-მინისტრმა პეტრე გროზამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობას ჩრდილოეთ ტრანსილვანიის დედაქალაქ კლუჟში სხდომის მოწყობის შესაძლებლობა აქვს წითელი არმიის წყალობით, რომელმაც ჩრდილოეთი ტრანსილვანია გაათავისუფლა დამპყრობლებისაგან. დოქტორი გროზა მთავრობის სახელით მიესალმა საბჭოთა კავშირს და გამოსთქვა მადლობა მარშალ სტალინისა და ა. ი. ვიშინსკისადმი.

სიტყვა წარმოსთქვა ა. ი. ვიშინსკიმ; მან რუმინელ ხალხს უსურვა წარმატებითი მუშაობა დემოკრატიული მთავრობის ხელმძღვანელობით, ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სასარგებლოდ. ამხ. ვიშინსკიმ რწმენა გამოსთქვა, რომ დემოკრატიული კონცენტრაციის მთავრობა შეასრულებს ვალდებულებებს, რომლებიც მან იკისრა საბჭოთა კავშირის წინაშე, უზრუნველჰყოფს ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში მოსახლე ეროვნებათა თანასწორობას და დემოკრატიულ წესრიგს წითელი არმიის ზურგში. ა. ი. ვიშინსკიმ რუმინეთის მთავრობას უსურვა წარმატებანი მის მუშაობაში.

სხდომის დახურვისას პეტრე გროზამ განაცხადა: ამ მომენტიდან მე ვთვლი, რომ ჩრდილოეთი ტრანსილვანია გადმოვიდა რუმინეთის მთავრობის მართვა-გამგეობაში. სხდომა მიმდინარეობდა რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ვითარებაში.

მიტინგი ბუქარესტში

ბუქარესტი, 15 მარტი. (საკდესი). გუშინ ბუქარესტში მეფის სასახლის წინ მოედანზე შესდგა დედაქალაქის მოსახლეობის მრავალათასიანი მიტინგი, მიძღვნილი რუმინეთთან ჩრდილოეთ ტრანსილვანიის შეერთებისადმი.

მიტინგის გახსნის წინ სასახლის აივანზე გამოვიდა მეფე, რომელსაც შეკრებილნი მისასალმებელი შეძახილებით შეხვდნენ.

მიტინგი გახსნა ნაციონალურ-დემოკრატიული ფრონტის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვასილიუ ლუკამ, რომელმაც გამოსთქვა რუმინელი ხალხის სიხარული ტრანსილვანიის შემოერთებასთან დაკავშირებით და ნაციონალურ-დემოკრატიული ფრონტის სახელით მხურვალე მადლობა უძღვნა საბჭოთა მთავრობას და მარშალ სტალინს. ლუკამ განაცხადა, რომ ნაციონალურ-დემოკრატიული ფრონტი მხარს დაუჭერს გროზას მთავრობას. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს პრემიერ-მინისტრმა პეტრე გროზამ, ბუქარესტისა და მაზრის ნაციონალურ-დემოკრატიული ფრონტის საბჭოს თავმჯდომარემ ილფოვმა, პროფესორმა ბარბულესკუმ, მინისტრმა გეორგიუ დეჟმა, ნაციონალურ-დემოკრატიულ ფრონტში შესული ლიბერალური და ნაციონალურ-ცარანისტული პარტიების ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ გენერალ ვასილიუ რაშკანუს, რომელიც რუმინეთის არმიის სახელით გამოვიდა. მარშალ სტალინის სახელის ხსენებამ შეკრებილთა ძლიერი აღტაცება გამოიწვია. გაისმა შეძახილები: „სტალინთან ერთად — ბერლინისაკენ!“

მიტინგის შემდეგ დემონსტრანტთა კოლონები გაემართნენ საბჭოთა საელჩოს შენობისაკენ, სადაც მათ მიესალმა ამხ. ა. ი. ვიშინსკი. შეკრებილთა რიგებში განუწყვეტლივ გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს მარშალ სტალინს — რუმინელი ხალხის დიდ მეგობარს!“, „გაუმარჯოს დიად საბჭოთა კავშირს!“ დემონსტრაცია გვიან საღამომდე გაგრძელდა.

რუმინეთის მინისტრთა საბჭომ განიხილა ამნისტიის კანონპროექტი

ბუქარესტი, 14 მარტი. (საკდესი). როგორც ბუქარესტის რადიო იუწყება, 12 მარტს „რუმინეთის მინისტრთა საბჭომ, დედა-სამშობლოსადმი ჩრდილოეთ ტრანსილვანიის დაბრუნების გამო დიდ ზეიმთან დაკავშირებით, განიხილა ფართო ამნისტიის კანონპროექტი, რაც საბჭოს მოახსენა იუსტიციის მინისტრმა“. მინისტრთა საბჭომ განიხილა აგრეთვე კანონპროექტი აგრარული რეფორმის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს გლეხთა მასების სურვილის უსწრაფესად დაკმაყოფილებას.

სამამულო ფრონტის ნაციონალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა

სოფია, 14 მარტი. (საკდესი). როგორც სოფიის რადიო გადმოგვცემს, სამამულო ფრონტის კომიტეტთა კონგრესმა აირჩია სამამულო ფრონტის ნაციონალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა. კომიტეტში შევიდნენ: ბულგარეთის მუშათა პარტიისაგან (კომუნისტებისაგან)—გიორგი დიმიტროვი, ვასილ კოლაროვი, ტრაიჩო კოსტოვი, ცოლა დრაგოიჩევა და სამი კანდიდატი; ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირისაგან — ნიკოლა პეტკოვი, ალექსანდრე ობოვი, ხრისტო სტრატევი, სტეფანე ტონჩევი და ოთხი კანდიდატი, სახალხო კავშირ „ზვენოსაგან“ — კიმონ გეორგიევი, ივანე ხარიზანოვი, ვასილ იურუკოვი, ადამ ტრინკა; სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისაგან—კოსტა ლულჩევი, დიმიტრი ბუდუროვი, დიმიტრი ბრატანოვი, ზდრავკო მიტოვსკი.

იდენის პასუხები თემთა პალატაში

ლონდონი, 14 მარტი. (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ დღეს საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა პასუხი გასცა თემთა პალატაში რუმინეთის შესახებ დასმულ კითხვებზე და შეჩერდა იმ გარემოებებზე, რომლებშიც სწარმოებდა რუმინეთის ახლანდელი კოალიციური მთავრობის შედგენა დოქტორ პეტრე გროზას მეთაურობით. იდენმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ წინანდელი მთავრობის მეთაური გენერალი რადესკუ თავისი სიცოცხლისათვის საფრთხის მოტივებით თავშესაფარს ეძებდა ინგლისის წარმომადგენლებთან ბუქარესტში. იდენმა დაადასტურა, რომ ეს თავშესაფარი რადესკუს მიეცა. იდენი შეეხო საკითხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს რუმინეთს როგორც წითელი არმიის ზურგს. იდენმა აღნიშნა: როცა გერმანიის არმია იძულებული გახდა დაეტოვებინა რუმინეთის ტერიტორია, უეჭველია, „გათვალისწინებული იყო კავშირის დამყარება ზოგიერთ ელემენტთან კომუნიკაციების აფეთქების მიზნით“.

მექსიკის მშრომელთა კონფედერაციისა და მექსიკის კომუნისტური პარტიის პროტესტი

მექსიკო, 13 მარტი. (საკდესი). მექსიკის გაზეთებმა გამოაქვეყნეს მექსიკის მშრომელთა კონფედერაციისა და მექსიკის კომუნისტური პარტიის პროტესტი საამერიკათაშორისო კონფერენციის მიერ არგენტინის საკითხზე მიღებული რეზოლუციის წინააღმდეგ.

მექსიკის მშრომელთა კონფედერაციის გენერალური მდივნის ველასკესის განცხადებაში, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ „შემწყნარებელი პოზიცია, რაც საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაიკავეს, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ამერიკის კონტინენტის ერთიანობას და იძულებულს ხდის არგენტინის ხალხს შეიწყნაროს ფარელ-პერონის ჩაგვრის ფაშისტური რეჟიმი“.

მექსიკის კომუნისტურმა პარტიამ თავის მხრივ განაცხადა: „როცა არგენტინის ფაშისტურ მთავრობას სთხოვენ ხელი მოაწეროს საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციის შეთანხმებას, ეს იმას ნიშნავს, რომ უზრუნველყოფილ იქნას ამ მთავრობის არსებობა და განმტკიცება. მონაწილეობა არგენტინელი ფაშისტებისა, რომელთაც სთავაზობენ ამერიკის ქვეყნების ბლოკის ნაწილი აპირებენ იმ საბაბით, რომ „უარგენტინოდ კონტინენტის ერთიანობა სრული არ იქნებაო“, — წარმოადგენს ამ ერთიანობის ხელყოფას“.

დე გოლის გამოსვლა ინდო-ჩინეთის ამბებთან დაკავშირებით

პარიზი, 15 მარტი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ გენერალმა დე გოლმა რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც განაცხადა, რომ ინდო-ჩინეთში 6 დღის წინათ დაიწყო „გააფთრებული ბრძოლები საფრანგეთისა და იაპონიის ჯარებს შორის. ხანოიში, ხიუეში, ლანგ-სონში, სონ-ტაიში საფრანგეთის ჯარებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს და ახლა ბრძოლას განაგრძობენ ამ ქალაქების მიდამოებში. მონ-კაიში იაპონელთა ყველა იერიში მოგერიებულ იქნა. კოხინხინში მეკონგზე მცირე ბრძოლები გრძელდება. ამით ომის ახალი ფაზა იწყება შორეულ აღმოსავლეთში“. დე გოლმა აღნიშნა, რომ წინათ საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი, ხოლო ამჟამად საფრანგეთის მთავრობა ფარული და ძნელი გზებით მუდამ ეხმარებოდნენ წინააღმდეგობას, რომელიც თანდათანობით ეწყობოდა ინდო-ჩინეთში, და განაცხადა, რომ „ამჟამად ბრძოლა, რომელიც დაიწყო იაპონელებსა და საფრანგეთის ძალებს შორის ინდო-ჩინეთში, ვითარდება მთავრობის მიერ დაწესებული გეგმით და ამ მთავრობის მიერ დანიშნულ ხელმძღვანელთა სარდლობით“.

დე გოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფრანგებს ინდო-ჩინეთში არა ჰყოფნით მატერიალური საშუალებანი, და სთქვა, რომ „საფრანგეთი ყველაფერს აკეთებს, რაც კი შეუძლია, რათა მოკავშირეებმა გადადგან ნაბიჯი, და მისცენ მას იარაღი თავიანთი არსენალებიდან“.

მოხსენება

შაბათს, 17 მარტს, დღის 2 საათზე, მწერალთა კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13), აკადემიკოსი სიმონ **ჯანაშია** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: **„ქართველი ერის წარმოშობა ამხანაგ სტალინის მოძღვრების სინათლეზე ნაციის შესახებ“.**

ლექცია

16 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) მომხსენებლებისა და აგიტატორებისათვის შესდგება ამხ. ნოლიანისის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„პარიზის კომუნის 74 წლისთავი“.**

მენდელეევის საზოგადოებაში

კვირას, 18 მარტს, დღის 1 საათზე საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ აუდიტორიაში (კამოს ქ. № 34) შესდგება მენდელეევის სახელობის სრულიად-საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების საერთო კრება, მიძღვნილი აკადემიკოს **ვ. ი. ვერნადსკის** ხსოვნისადმი. სხდომაზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებები: 1. აკადემიკოსი **ა. ქ. თვალჭრელიძე** — აკადემიკოსი ვ. ი. ვერნადსკი და მისი როლი მინერალოგიურ მეცნიერებათა განვითარებაში; 2. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **რ. ნ. ნიკოლაძე** — აკადემიკოს ვ. ი. ვერნადსკის გეოქიმიური კლასიფიკაცია ელემენტებისა; 3. ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **დ. ი. ერისთავი**—მარგანეცის გეოქიმია და აკადემიკოსი ვ. ი. ვერნადსკი; 4. **ა. მ. ფოკინი**—ვ. ი. ვერნადსკი, როგორც მეცნიერ-შემოქმედი პიროვნება.

შესვლა თავისუფალია.

თვითმოქმედი გუნდების დათვალიერება

17 და 18 მარტს მასწავლებელთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) ტარდება საქართველოს პროფკავშირების თვითმოქმედი გუნდებისა და მომღერლების საქალაქო დათვალიერება.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

მუსიკალურ ათწლედში

16 მარტს სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში შესდგება მუსიკალური ათწლედის მოწაფის მარინე იაშვილის კონცერტი (ვიოლინო). **18 მარტს** ამავე დარბაზში გაიმართება მასწავლებელ ირაკლი ბერიძის კონცერტი (ვიოლინო). მთელი შემოსავალი გადაირიცხება ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 16/III — „აბესალომ და ეთერი“?? [illegible]

სახელმწიფო ოპერა — 16/III — „ბახჩისარაის შადრევანი“, 17/III — „დაისი“. **რუსთაველის სახელობის** — 16, 17/III — „ხევისბერი გოჩა“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 16/III — „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, 17/III — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. **გრიბოედოვის სახელობის** — 16/III — „მაშენკა“, 17/III — „კრეჩინსკის ქორწინება“. **სომხური** — 16/III — „ღალატი“, 17/III — „მოკლული მტრედი“. **ახუნდოვის სახელობის**— 16/III—„ვერაგობა და სიყვარული“, 17/III— „ლეილი და მაჯნუნი“. **მუსიკალური კომედიის** — 16/III—„ოქროს გასაღები“, 17/III— „მეაბრეშუმის სიყვარული“. [illegible]

კინოებში

16 მარტს [illegible]

ა. წ. 5 აპრილს, დღის 2 საათზე **საკავშირო** კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად შესდგება ამხ. **ქ. ნ. აქბარდიას** სადისერტაციო შრომის საჯარო დაცვა თემაზე: **„გ. ვ. პლეხანოვის ბრძოლა ნაროდნიკების ფილოსოფიური და სოციოლოგიური საფუძვლების წინააღმდეგ“.**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი **ქ. ხ. ბაქრაძე**, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ლ. ე. გორგილაძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 5½ საათამდე.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობა იუწყება განათლების სახლის დირექტორის გიორგი პეტრესძე [illegible]

შვილები ნინო, კოკა, ლალა, მერი, პაშა ოჯახებით იუწყებიან, რომ 18/III, 1½ ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ლიდა** [illegible]

სიდედრი საშა, სიმამრი ხაიმი, მეუღლე მალქა, შვილები რივა, არონ, ქვისლი მიშა მეგრელიშვილი, ცოლისდა როზა, ბიძა დავით ოჯახობით იუწყებიან **შალვა პაპიაშვილის** გარდაცვალებას.

პლატონ, ელენე შარშაძეები შვილებით იუწყებიან მამიდის **მაშო ზურაბის-ასულ კვალინაძე-მეშველიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე დომნა, შვილები ელენე, ნათელა მირიანაშვილები იუწყებიან, რომ 18/III, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **დავით მირიანაშვილის** პანაშვიდი.

მეუღლე მიხეილ, შვილები რუსუდან, ოთარ [illegible]

[illegible]